**რედაქცია**
რევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროება"-„ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба"-„Иверія"

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კოპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 20 თებერვალს. ხმა გავარდა, რომ დღეს, ნასადილევის 3 საათზე, ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა გრაფ ლორის-მელიქოვსაო იმ დროს, როდესაც ის დიდი მორსკოის ქუჩაზე კარეტაში ჯდებოდაო. გრაფი არ არის დაჭრილი. დამნაშავე იმ წამსვე დაიჭირეს. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ არის გამოცხადებული.

პეტერბურღი, 20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. ბოროტმა-სულმა, რომელმანც გრაფ ლორის-მელიქოვის მოკვლა განიზრახა, პირველს სროლით გაუხვრიტა პალტო და ტყვიამ სერთუკიც გაწვა. მეორე ჯერაც უნდა ესროლა, მაგრამ ამ დროს გრაფი მიუბრუნდა და ისე მაგრად შემოარტყა იმას სახეზე, რომ დამნაშავე დატრიალდა და კინაღამ წაიქცა. გრაფის მხლებელ ყაზახმა სტაცა დამნაშავეს უკანიდამ ხელი, ამავე დროს სხვებიც მოეშველნენ და დაიჭირეს. ამბობენ, ვითომც, ამ შემთხვევის თაობაზედ, გრაფ ლორის-მელიქოვს ღიმილით ეთქვას: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ არ ჩამოსხმულა ჩემი მომკვლელი ტყვია." დამნაშავე აღმოჩნდა ყმაწვილი კაცი, ებრაელი. დარიბად არის ჩაცმული.

პეტერბურღი, 21 თებერვალს. პეტერბურღის უწყებებში დაბეჭდილია, რომ იმ პირს, რომელმანც გრაფლორის-მელიქოვის მოკვლა განიზრახა, სამხედრო სამართლით გაასამართლებენ. რევოლვერი კარტეჩის ტყვიით იყო გატენილი, ერთი ტყვია გრაფმა შინელიდამ ამოიღო და ხელში ეჭირა. გრადონაჩალნიკმა პირველი ჩვენება ჩამოართვა დამნაშავეს, რომელმანც გულ-გრილად და დამშვიდებით სთქვა: „მე თუ ვერა, მეორე, აეორე თუ არა მესამე იქნება; მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ ლორის მელიქოვი უეჭველად ჩვენგან იქნება მოკლული".

### სასახლის ლაღმით აფეთქებაზე.

ახლად მოსულმა პეტერბურღის და მოსკოვის რამდენთამე ფოჩტამ მოგვიტანა უფრო დაწვრილებული ამბავი იმ უბედურ შემთხვევაზე, რომელიც 5 თებერვალს მოხდა იმპერატორის საზამთრო სასახლეში. მოგვყავს ზოგიერთი ამ ამბავთაგანი:

რამდენიმე დღის წინათ 5 თებერვლამდინ ნემეცურს გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ პეტერბურღში ხშირად ხედავდნენო სხვა-და-სხვა ბოროტ-მომქმედ პირთ, რომელთაც პოლიციელების ტანისამოსი ეცვათო; ერთი ამათგანი თვითონ ხელმწიფის სასახლეში მისულიყო, ზურკოს ადიუტანტი ვარო, ეთქვა, და ხელმწიფის ნახვა მინდაო. მაგრამ შეამცნიესო, რომ ის აფიცერი არ უნდა ყოფილიყოო, იმ წამსვე დეპეშით მოიხმეს თვითონ ზურკოვო და ის კაცი დაიჭირესო.

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებოდნენ, რომ იანვრის დამლევს ორი ვიღაც ბუხრების მწმენდელებად გადაცმული კაცი დამდგარიყვნენ მოჯამაგირედ სასახლეში იმ განზრახვით, რომ ასაფეთქი წამალი (დინამიტი) დაედვათ სასახლის ბუხრებში და აეფეთქათ.

ერთხელ კიდევ სასახლეში ვიღაცაებს შეეყვანათ ურემი, ცხენები გამოეშვათ, წაეყვანათ და ურემი კი ეზოში გაეჩერებინათ. ერთს სასახლის მსახურს ეჭვი აელო ამაზედ, სხვებისთვის შეეტყობინებინა, მისულიყვნენ, და გაეჩხრიკათ ურემი და აღმოჩენილიყო, რომ მთელი ეს ურემი თოფის-წამლითა და დინამიტით იყო სავსე და თან მოკიდებული პატრუქიც იყო ზედ მიბმული ასე, რომ ორი მინუტი კიდევ რომ დაეყოვნებინათ, უეჭველია, აიფეთქებოდა და მთელს სასახლეს დაანგრევდაო.

ერთს საღამოს აგრეთვე იანვარში პოლიციამ დაატუსაღა ერთი გლეხის ტანისამოსში ჩაცმული კაციო, რომელსაც ზურგზე ბოღჩა ეკიდა; ამ ბოღჩაში რამდენიმე ბოთლი ნიტროგლიცერინი (ასაფეთქი წამალი) უპოვნეს. ჩვენების ჩამორთმევის დროს სთქვა, რომ ვიღაცა უცნობმა კაცმა მომცაო და ვასილის კუნძულზე წაღება მთხოვაო. ბოლოს კი აღმოჩნდა რომ ეს კაცი ერთი ადრევე შენიშნული პოლიტიკურ დამნაშავეთაგანი ყოფილა.

გამოძიებამ, სხვათა შორის, აღმოაჩინა, რომ სასახლის ქვემო ეტაჟში მდგარან სამი ხურო, რომელთაგან, ერთი, უფროსი, დამალულა და ორი კი დაუჭირავთ. ამბობენ, ამათ უნდა იცოდნენ თუ ვინ მოიტანა სასახლეში ასაფეთქი წამალიო.

ამას გარდა 5 თებერვლის წინა დღეებში სასახლის ერთს მსახურს შეუჩნდა ერთი ვიღაც ახალ-გაზდა კაცი, რომელიც ძალიან ხშირად დაიარებოდა იმასთან და ნდობის დამსახურებისათვის იმის ქალის შერთვის სურვილი განაცხადა. პოლიციამ გულ-მოდგინეთ დაათვალიერა სასახლე და რამდენსამე ალაგს, სხვათა შორის, თვითონ ხელმწიფის კაბინეტის ფანჯრების პირ-და-პირ, ძირს ნახეს რამდენიმე პატარა ტომარა ასაფეთქი წამლითა (პეტარდი).

---

## ფელეტონი

### ფიქრი და შენიშვნა

უფ. ნიკოლაძის „სასახლწლო". — ნიკოლაძის ავტობიოგრაფია. — ძველი ჭეშმარიტება ხელახლად დაღეჭილი ნიკოლაძის მიერ. — ნიკოლაძის მეცნიერება. — როგორ ესმის ნიკოლაძეს მამულის სიყვარული და მამულის სამსახური.

(დასასრული *)

უფ. ნიკოლაძის შეილდ-ისარი მიმართულია საქართველოს ცრუ-პატრიოტებისაკენ, ესე იგი მათკენ, რომელთა უგუნური სიყვარული მამულისა წარმატებას და ბედნიერებას კი არა, არამედ უკან დაწევას და დაღუპვას უქადის მათ ქვეყანას. უფ. ნიკოლაძე ეუბნება ცრუ-პატრიოტებს — არც გონივრული მამულის მოყვარეობა გაქვთო, არც გონივრული სამსახურიო მამულისა; ეგრე კი არა, აი ასე უნდა ემსახურებოდეთო მამულს, და სხვ.

სწორედ მოგახსენოთ ყველა ეს, ცოტად თუ ბევრად, გასაოცარია მას შემდეგ, რაც უფ. ნიკოლაძემ წაგვაკითხა თვისი ფილოსოფია. ამ ფილოსოფიიდამ, როგორც მოგეხსენებათ, გამოდიოდა, სხვათა შორის, შემდეგი: ყოველმა ხალხმა თავის მსვლელობაში აუცილებლად ოთხი პერიოდი უნდა გაიაროს, ესე იგი ჯერ პირველი, მერე მეორე, მერე მესამე, მერე მეოთხე. ჩვენ ქართველებს დაგვდგომია ამ ჟამად, მესამე (უკუბრუნებული) პერიოდი, რომელსაც ვერაგზით ვერ ავიცილებთ თავიდამ. ადრე გვეღირსება მეოთხე პერიოდი, თუ გვიან — ეს იმაზედ არის დამოკიდებული გვეყოლება ხეირიანი ისტორიკოსები, თუ არა. მაშასადამე, აწინდელის, მესამე პერიოდის მოღვაწენი იხდიან მხოლოდ თავის ვალს ისტორიის წინაშე, — ვალს, რომელსაც აუცილებლად მოითხოვს ხალხის „ისტორიული ზრდის" აუცილებელი კანონი.

ყველა ეს გასაოცარია მეთქი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ უფ. ნიკოლაძის წერილის ორ ნაწილთა შორის (სამეცნიერო და საპოლემიკო) არავითარი კავშირი არ არსებობს. ყველა იმისთვის, რასაც უფ. ნიკოლაძე ლაპარაკობს ცრუ-პატრიოტებზედ, სრულიად საჭირო არ არის ავტორის გაჭრელებული უთავბოლო ფილოსოფია. აი, თქვენ თვითონ გასინჯეთ.

ყველაზედ უწინარეს, რასაკვირველია, მოინდომებთ შეიტყოთ თუ ვინ არიან „ცრუ-პატრიოტნი", ვინ არის ის მტერი, რომლის დასამარცხებლად ასე მძიმედ აღჭურვილა უფ. ნიკოლაძე; სად არის ის საჯაროდ მომქმედი მავნებელი მიმართულება, რომლის გაქარწყლება ჩვენდა სასიკეთოდ მოჰსურვებია უფ. ნიკოლაძეს. „ცრუ-პატრიოტნი" გახლავან „ივერიის" მწერლები; მავნებელის მიმართულების ბუდე არის „ივერია" (ეხლა „დროება-ივერია" იქნება). მართალია, უფ. ნიკოლაძე მხოლოდ ერთ ადგილას ასახელებს პირ-და-პირ „ივერიას" სხვაგან კი გადაკვრით ლაპარაკობს. მაგრამ მაინც პირ-და-პირ ვაღვიარებ, რომ უფ. ნიკოლაძეს აქვს მხედველობაში „ივერია". რად ლაპარაკობს უფ. ნიკოლაძე გადაკვრით და არა პირ-და-პირ, ამას ქვემოდ მივხვდებით.

ამასთანავე იქნება მივხვდეთ იმასაც თუ რისთვის დასჭირდა უფ. ნიკოლაძეს თვისი უცნაური ფილოსოფია.

უფ. ნიკოლაძე ბრალსაც იგავითა სდებს „ცრუ-პატრიოტებს": ავტორს მოჰყავს ზოგიერთა თვისება სლავიანოფილთა მიმართულებისა და ამბობს — „ცრუ-პატრიოტებიც" იმას ქადაგობენო. რამდენად მართალია უფ. ნიკოლაძის აღწერა სლავიანოფილობისა — ჩვენთვის ამ ჟამად სულ ერთია. ეს აღწერა ყურადღების ღირსია მარტო იმდენად, რამდენადაც მასში „ცრუ-პატრიოტების" დანაშაულობა არის გამოხატული. უფ. ნიკოლაძე ამბობს:

„პირველი თვისება სლავიანოფილობისა ის იყო, რომ თავიანთს ყველაფერს იწონებდა აღმერთებდა, და უცხოეთისას ყველაფერს იძულებდა ან აძაგებდა, წაბილწულია ყოველი კაციო, ვინც რუსულ ენას არ ხმარობსო და ვისაც უცხო ენაზე გინდ ერთი სიტყვა წაცდებაო. როცა რუსულ ლაპარაკში ვინმე იმისთანა სიტყვას იხმარდა, რომელიც რუსულში არ მოიძიება, სლავიანოფილები კიჟინს იწყებდნენ... შენიშნეთ, რომ ამ საგანში სლავიანოფილები, ჩვენი პატრიოტების

---

*) „დროება" № 39.

## ახალი ამბები

—

იმ უმაღლესს რჩევაზედ, რომლის დაწესება ამას წინათ გვაცნობა ტელეგრამმამ, რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები:

„უმაღლესის რჩევის წევრებად დანიშნული არიან ყველა მინისტრები, თავს-მჯდომარედ კი გრაფი ლორის-მელიქოვი. ამ უმაღლესს რჩევას მინიჭებული აქვს ისეთი დიდი უფლება, რომლის მსგავსი ჯერ არც-ერთს რუსეთის დაწესებულებას არასოდეს არ ჰქონია მინიჭებული. სხვათა შორის, იმის ხელ-ქვეშით იქმნებიან ყველა ღენერალ-ღუბერნატორები.“

* * *

გაელილ ორშაბათის სხდომა ჩვენის ქალაქის რჩევისა არაფრით არ იყო შესანიშნავი.

ხმოსნებმა მოაწერეს ხელი, 19 თებერვლის გამოისობით ქალაქისაგან ხელმწიფისადმი წარსადგენს ადრესზედ და შემდეგ ცოტაოდენი ბაასი ატყდა გულაქნურის ტაქცის თაობაზედ. მოგეხსენებათ, რომ ქალაქის რჩევამ ამას წინათ დაადგინა გულაქნურზე ტაქცია, რომლის ძალითაც 15 ენკენისთვიდამ დაწყებული, ვიდრე 15 ქრისტეშობისთვემდინ თითო გულაქნური ორ შაურზე ზევით არ უნდა გაყიდულიყო. ამ გარდაწყვეტილების დამტკიცება უარ-ჰყო როგორც გუბერნიის საქალაქო საქმეთა პრისუტსვიემ, აგრეთვე სენატმა, რადგან თევზის იჯარა ხაზინისაგან არის გაცემულიო, მეიჯარადრებს უფლება აქვსთ მილებულიო, როგორც ჰსურთ, ისე გაჰყიდონ თევზიო და ტაქციის დადებით ხაზინას ზარალი მიეცემაო.

რჩევამ მიიღო მხედველობაში, რომ გულაქნური ქალაქის ხალხისათვის შემოდგომაზე თითქმის ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორც პური და ხორციო და ამის გამო გარდაწყვიტა, რომ ერთხელ კიდევ იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, გულაქნურზე ტაქციის დანიშნვის უფლება მიენიჭოს.

* * *

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, პოლიციამ და ექიმმა გაჩხრიკა ზოგიერთი აქაური სარდაფები, რომლებშიაც ფქვილი ეგულებოდა. ამ გასხრეკით აღმოჩენილა, რომ ზოგიერთ სარდაფებში პოლიციის ნაჩვენებზე უფრო მეტი ფქვილი აღმოჩენილა და ზოგიერთში კი ნაკლები. უველაზე უფრო მომეტებული ფქვილი აღმოუჩნდა ბურგენოვს (20,000 ფუთი), შთაულოვს (16,000 ფუთამდინ), პეპინოვს, სიტოვს და სხვებს.

* * *

რუსულის გაზეთების სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს, რომ კასპიის ზღვიდამ ყიზილ-არვატამდინ რკინის გზა გაიყვანოს 200 ვერსის მანძილზე. ამ რკინის გზის დანიშნულება ის იქნება, რომ თურქმენების დასამორჩილებლად გაგზავნილ ჯარს მიაწვდინონ წყალი, სურსათი და სამხედრო მასალები.

* * *

კავკასიის მთებიდამ იწერებიან, რომ ანანაურისა და ფასანაურის სტანციებ შუა თოვლის ზვავი ჩამოვარდა და გზა შეკრული არისო; ამის გამო რუსეთის ფოჩტა უკანვე დააბრუნესო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

გურიიდამ, 10 თებერვალს. არც ადამიანები ვართ ტყის ფრინველზე და ნადირზედ ნაკლებ გაჭირვებაში: — ამ დიდმა თოვლიანობამ ისე მოულოდნელად მოგვისწრო, რომ მეტს წილს ჩვენგანს არც შეშა დაურჩა მომზადებული, არც ჩალა პირუტყვისათვის, არც სხვა რამ საზამთრო მასალები.

საქონლის რჩენა მეტად გაუჭირდა საწყალ ხალხს. მოსავლის ნაკლებობის გამო, ჩალაც სხომინდულზე წელს ბევრად ნაკლები დაგვირჩა. მოსავალი წასულ წელს ისე ნაკლები იყო, რომ ფუთი სიმინდი წელს სამ-ოთხ აბაზათ იყიდება, როდესაც წინა წლებში ამისი ფასი ექვს შაურს არ ასცილდებოდა.

ფუთი ღომი, რომელიც წინათ სამ აბაზათ იყიდებოდა, ახლა შვიდ-რვა აბაზათაა; ამგვარადვე გაძვირდა ჩალა, თივა და სხვა ხორაგეულიც.

თუ ესეთმა ზამთარმა დიდი ხანი გასწია, უეჭველია, ეს ფასები კიდევ იმატებენ და მაშინ კიდევ უფრო გასჭირდება უმისოდაც გაჭირვებული ცხოვრება მეტი წილი ღარიბი ხალხისა.

კიდევ კარგი რომ ღვინის მოსავალი წინა-წლებზე ბევრად მომეტებული იყო შარშან: ალაგ-ალაგ მაინც წინანდელზე ერთი სამად მეტი მოისხა შარშან ჩვენში ვენახმა და სხომის რომ იმერული ღვინო ხშირად შეხვდებოდა ჩვენში, წელს სხვა ალაგიდამ მოტანილი ღვინის ხსენებაც არაა.

მაგრამ ხალხი ახლა წინანდულად ვერ სარგებლობს ყურძნის სიუხვით: წლევანდელ ჭაჭა-მთხლეს მრავალი ღარიბი სახლობა გამოჩრჩებოდა თითო-ოროლ თუმანს და ამით ბევრს გაჭირვებას აიცდენდა თავიდამ; წელს კი მთელი აქაური ჭაჭა-მთხლე ლორის საუზმეთ გახდა და საწყალ გლეხს რომ მუცლის ტკივილი სულს შეუხუთავს, ერთი-ორი ყლაპი არაყი დუქანში უნდა მამის-სიხლად იყიდოს.

ამ დიდი თოვლის გამო ოზურგეთ-სამტრედიის გზა თითქმის მუდამ შეკრულია და უამისოდაც ჩვენში ძვირი სტუმარი — ფოჩტა, ახლა ხშირად ორ კვირაში ერთხელაც ძლივს გვეღირსება. გზის საწამნდათ მუდამ დღე გაჰყავთ გლეხობა ნიჩბებით და თოხებით; მაგრამ თოვლი ისე გაჟინებულია, რომ ხშირად გუშინდელი გაწმენდილი გზა ხვალ ხელ-ახლა გასაწმენდათ ხდება და აქამდი ვერ დაუსვენია გლეხობას ამ გზების წმენდისაგან.

ჩვენი გლეხობა საზოგადოთ მარტო ახალი წელიწადის დღეებში ისვენებს მთელი წლის განმავალობაში: იშვიათი ხალხი ეგებება ახალ წელიწადს ისეთის ხალისით და ხარჯის სიუხვით, როგორც ჩვენი გურულები.

რაც მთელს წელიწადს საუკეთესო რამე ეშოვება გურულს კაცს, ყველაფერი საახალ-წლოდ უნდა შეინახოს. ამ დღისათვის ინახება გურული კაცის ოჯახში საუკეთესო „შუმი“ ღვინო, ამ დღისთვის ცხობა საგანგებო „ხაჭაპურები“, ამ დღისთვის სუქდება ერთი თვიდამ სასუქში „დედო“ ღორი და ოჯახის სულზე თითო დედალი; ამასთან ხილეულობა და სხვა რამ ტკბილეული სულ „საკალანდოთ“ ინახება გურულის ბეღელში. მთელ წელიწადს არ დაილევა ჩვენებური კაცის ოჯახში „კალანდა“ დღეებში დახარჯული ღვინის ოდენი ღვინო. ერთი წლის ნაშრომ-ნატანჯული, წელში გაუმართავი და ოფლში განაწური ხალხი მარტო ამ ერთ-ორ კვირას ისვენებს გულიანად.

ღმერთმა შეარგოს ეს ერთი-ორი დღის სიამე და სიმაძღრე საწყალ ხალხს. მას იმდენი სიმართლე მიუძღვის ამ ორი დღის მხიარულებაში და მოსვენებაში, რომ ჭეშმარიტად

---

არ იყოს, იმას კი არ ქადაგობდენ — მწერლობა ხალხის ენას ყურს უნდა უგდებდეს, ხალხის მდიდარი ლექსიკონით უნდა ხელმძღვანელობდეს, ხალხის ლაპარაკს უნდა უახლოვდებოდეს მწერლურ ენაო. ეს რომ ეთქვათ, ჭეშმარიტებას გამოითქმოდა მათი ტუჩით (?) არა. ისინი „მას ჰქადაგობდენ — სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენი ქართველი პატრიოტები შვრებიან — რომ ძველი მწიგნური, დავიწყებული და მომკვდარი ენიდამ უნდა აიღოს მწერლობამ სიტყვებიც და სიტყვის წყობილობაც… შენიშნეთ რომ ვერც შიშკოვის, ვერც ხომიაკოვის, ვერც კირეევსკის, ვერც აპ. გრიგორიევის *) ენას რუსის ხალხი ვერ იგებდა, სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენ ხალხს „ივერიის“ მწერლების ენის გაგება უჭირს“.

ეს უმეცარი ყბედობა „ივერიის“ ენაზე ახალი ამბავი არ არის ამ საგნის თაობაზედ მქონია კიდეც ლაპარაკი მკითხველთან („ივერია“ 1879 წ., № 1, „ფიქრი და შენიშვნა“) და გამეორება საჭირო აღარ არის.

უფ. ნიკოლაძე განაგრძობს:

„მეორე თვისება სლავიანოფილებისა ის იყო, რომ ისინი უცხოეთის ცხოვრების, ძალას; მოძრაობას და განზრახვას ყურს სრულიად არ უგდებდენ“.

უფ. ნიკოლაძე ამტკიცებს შემდეგ, რომ ამ გვარი თვისება დიდი სისულელეაო და მავნებელიც არისო. ჩვენ დროში ხალხი ოთხ-კედელ-შუა ვერ იცხოვრებსო და სხვ. ეს ძველთაგან ძველი ჭეშმარიტება, რომელიც არა ერთხელ იყო გამოთქმული „ივერიაში“ („ივერია“ ხომ ყველა დამპალ ჭეშმარიტებათა ბუდეა), რისთვის დაუღეჭია უფ. ნიკოლაძეს, რა მოგახსენოთ, მით უფრო, რომ უფ. ნიკოლაძე ერთ სიტყვასაც არ ამბობს მაზედ ვითომ „ივერიის“ მწერლები ეწინაამდეგებოდნენ ამ ჭეშმარიტებას და როგორმე ემსგავსებოდნენ ამ შემთხვევაში სლავიანოფილებს. გარდა ამისა სლავიანოფილებსაც (უფ. ნიკოლაძე ხომ ყველა სლავიანოფილებს ერთად ურევს) ტყუილს უგონებს *) უფ. ნიკოლაძე.

უკაცრავად, უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ბრალსა სდებს „ცრუ-პატრიოტებს“, თუმცა ეს ბრალი, ჩემის აზრით სრულიად სხვა საგანს შეეხება. უფ. ნიკოლაძე ამბობს რომ სლავიანოფილებისათვის, მათი უმთავრესი განზრახვისთვის (ე. ი. სლავიანების განთავისუფლება და შეერთება. აქაც უფ. ნიკოლაძე ურევს ერთი ერთმანერთში სლავიანოფილობას და პანსლავისტობას) სასარგებლო და საჭირო უნდა ყოფილიყო უცხო ენაზედ წერაო, რათა გაეგებინებინათ უცხოელებისათვის და სხვ. და სხვ., ბოლოს უფ. ნიკოლაძე ამბობს:

„ამის მაგიერ, რომ ეს მათი საქმისთვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი — სწორეთ ჩვენებური პატრიოტებისთვის — მუხანათათ სთვლიდენ იმ მწერლებს, ვინც ამ გზას ადგა… ბოლოს თვითონვე დაიწყეს უცხოეთში წერა და მოქმედება, დაიწყეს უცხოეთის ენებზე ბროშურებისან გაზეთების გამოცემა, უცხოეთში ქადაგება… ზოგიერთ ჩვენ პატრიოტებსაც კი დაემართათ ამისთანა სირცხვილი…

მესამე თვისება სლავიანოფილებისა ის იყო, რომ გარეგან შეხედულობას უფრო მეტს ყურადღებას ათხოვებდნენ ვიდრე საქმის შინაგან არსებითს თვისებასაო, და სხვ. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი „ცრუ-პატრიოტებიც“ ამას შვრებიან.

„მეოთხე თვისებაო, ამბობს უფ. ნიკოლაძე, იმაში მდგომარეობდაო, რომ ყოველ დღე რომელიმე უცხო ნაციონალობას დევნიდენ“. ამის თაობაზედაც უფ. ნიკოლაძე ღეჭავს ხელ-ახლად ყოვლად ძველს ჭეშმარიტებას: ჯერ თქვენ თვითონ უშველეთ თქვენ თავსაო, საქმით გამოიჩინეთ, რომ შეგიძლიანთ რამეო და მერე სხვას დასდეთ ბრალიო; ჯერ დაამტკიცეთო, მაგალითებრ, რომ „კალაჩების გამოცხობა შეგიძლიანთო, და მერე ალიარეთ სამდურავი მოსკოვიდამ რად იბარებენ „კალაჩების“ გამომცხობსაო, და სხვა ამ გვარი. მერე, რაო? მერე უფ. ნიკოლაძე იკვეხის:

„რომ მოვინდომო ამგვარი შედარების

---

*) ეტყობა უფ. ნიკოლაძეს კარგად ვერა სცოდნია სლავიანოფილობის ისტორია, რადგანაც ყველა ეს მწერლები ერთად აურევია.

*) იხილე „Очерки Гоголевскаго періода русской литературы.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვა იქნება გულ-წრფელად არ დავლოცოთ ამათი მოლხენა. ამათი შექცევა და გართობა, თუნდ გადაჭარბებული სმა-ჭამაც, მარტო სიამოვნებას და კმაყოფილებას აღუძრავს მაყურებელს გულში.—ეს შექცევა სრულიადაც არ ჰგავს ტყულა-ყლაპია შემძლეების გაუწყვეტელს ქეიფსა, ამათი დაუბოლებელი „ქეიფი“ უსიამოვნო და ხშირად საზიზღარიცაა, როგორც ყველა გადაჭარბებული და დაუმსახურებელი კმაყოფილების ცქერა ცხოვრებაში: ეს დაუბოლოებელი განცხრომა უნებურად გაფიქრებინებს კაცს—ნუ თუ ამათ შეერგებათ ამოდენა უსარგებლო ყლაპიაობაო? ხალხის მოლხენაზე კი ყოველთვის ეს ნატვრა მოგდის ფიქრში: ღმერთო შეარგე ამ შრომის შვილს ეს კანონიერი მოსვენება და მოლხენაო...

ჟოველის მხრით ზარალი და დაბრკოლება მოგვცა ამ სასტიკმა ზამთარმა: სოფლის გზები ყველგან ისე შეკრულია, რომ მისვლა-მოსვლა პაწაწა მანძილზედაც გასაჭირი გახდა თვით დიდებისთვისაც. პატარაები კი სულაც ვერ იძვრიან ამ სიმაღლე თოვლში და თითო-ოროლა კვირაობით დამწყვდეული არიან სახლში.

ამ გარემოებამ დიდი დაბრკოლება მისცა ჩვენებურს ორიოდე შკოლებსა: რომელ შკოლაშიაც კარგ დარში ას-ორმოც სულზე მეტი მოსწავლე დადიოდა, ამ ავდარში თითო ოროლი კვირაობით სწავლა მოცდენილია.

ერთის სიტყვით ყველგან და ყველას გვავიწროებს ეს ზამთარი, მაგრამ ბუნებას ვინ აღუდგება წინ? ისევ მოთმინება დამორჩილება უნდა მოვიხმოთ მშველელად ამ საოზგადო გაჭირებაში.

ნ. შ.

(დასასრული)

## წერილი რედაქციისადმი

—

თქვენს პატივცემულ გაზეთს „დროებაში დაბეჭდილი იყო, ვითომც ქასპში დიდს შევიწროებაში არიან გლეხკაცნი იმ დადგენილთ თავადთ ამილახვართაგან ტყის მცველებისაგანაო; გლეხ-კაცებს იმდენი არ შეუძლიანთო გამოიტანონ ტყიდგან არა თუ შეშა, უკანასკნელი ჩინჩხვარიცაო, და არა თუ მარტო გლეხ-კაცნი არიან ამ შეჭირვებაში, თვითან ადგილობრივი მამულის პატრონებიც ამ შეჭირვებაში არიან და ეს ტყის მცველები იმათზედაც ამგვარსავე ძალასა ხმარობენო. ეს გაათამამებულნი ტყის მცველები რიცხვით ოთხმოც-და-ათნი არიანო, რომელნიცა ვისაც დაეცემიან, სულ მტუტას ადენენო, და საცოდავთ მცხოვრებთ პატრონი და მოსამართლე არავინა ჰყავთო.

ერთის სიტყვით, სულ იკლებენ და აოხრებენო. უფრო ეს არის სამწუხარო, ადგილობრივი მართებლობა ყურს არ ათხოვებსო. ამ გვარივე კიცხვა ადრეც იყო გაზეთ „ობზორში“.

ვისაც „დროებისათვის“ ეს უცნობებია, დიდი სიცრუე მოსვლია. არა, ერთი ეს მიბძანეთ, უპატივცემულესო რედაქტორო, ამ განათლებულს დროში ისიც ასე თფილისის მახლობლად, განა შეიძლება, ყოველგვარს ღონე მოკლებულს მამულის პატრონს ანუ თავადის შვილს ის ძალა და შეძლება ჰქონდეს, და თუნდა ვთქვათ ჰქონდეს, ის უფლება ჰქონდეს, თავისი მზგავსი და თავისი მოძმე კაცი ასე შეაძრწუნოს და შეაწუხოს?

მაგრამ, დიდ ქუხილს, ნუ იფიქრებთ, დიდი წვიმა მოსდევდეს. რომ კარგათ შეიტყოს და გამოიკვლიოს კეთილგონიერმა კაცმა, მაშინ დარწმუნდები, რომ ამილახვრიანი, იმ დიდი სივრცე მამულის პატრონები, ისე კეთილ-შობილურათ და გულშეტკივნებით ექცევიან თავიანთ მამულზედ მოსახლეებს, რომ, ინებოს ღმერთმა, იმათი მომიჯნავე ერისთვიანთ იმათა ჰბაძავდნენ; მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, ამ ჩვენ მიბაძვამ ჩვენზედვე ააყაყანა არა თუ მარტო მეზობლები და სხვანი, არამედ თვით გაზეთებიც. დასამტკიცებლად ამისა მოვიყვანთ აქ შემდგომს საბუთებს:

ჟველას კარგათ მოეხსენება, იმ დღიდგან, რა დღიდგანაც ბატონ-ყმობა მოიშალა, მამულებს ფასა დაედვა; ესეც კარგათ მოგეხსენებათ, როდესაც ბატონ-ყმობა იყო, თუ რა შემოსავალი ექმნებოდა ჩვენს მამულებს, ან ვინა ფიქრობდა მაშინ შემოსავალისათვის. ჩვენ ვფიქრობდით მხოლოდ იმისათვის, რომ გლეხნი, რომელთაცა შვილებად ვხადდით (!?), კეთილდღეობაში ყოფილიყვნენ, რადგანაც დარწმუნებულნი ვიყავით, ჩვენს გაჭირვებაში შვილებსავით გამოგვადგებოდნენ, თუმც უკანასკნელს დროში ისე დაეცა ეს მამაშვილური დამოკიდებულება, რომ არა თუ შვილად, პირუტყვებად მიაჩნდათ მებატონეებს თავისი გლეხები; ამისი მიზეზი ყოველმა კეთილ-გონიერმა კაცმა იცის,—რომ დრო და დროს უფლება სხვა იყო იმ დროში.

როდესაც ბატონ-ყმობა მოიშალა, ეს ადრინდელი მცირე სამსახური მამულისა თუმცა კანონის-დებით სხვა დაინიშნა, მაგრამ თითქმის ისევე ის დარჩა: ძველიდგან ჩვენთან მყოფნი, ჩვენს ხელში შეზრდილნი შვილები, შეიწროებაში რომ შესულიყვნენ, ნუ თუ ჩვენ გავიმეტებდით და უჩვეულოს გარდასახადს გარდავახდევინებდით (?)

მაგრამ რამდენიც დრო გავიდა, და რამდენიც კაცის ცხოვრებისათვის უკეთესი საჭიროების შეძენება აუცილებელი შეიქნა, ჩვენც უნდა გვეფიქრა, მამულს შემოსავალი მიმატებოდა. აქ ჩვენისთანაები ვერ დაიწყობდნენ ამ საქმეს; ჩვენ სხვებზე ნურას ვიტყვით, ჩვენ ჩვენი მეზობლები ერისთვიანი ავიღოთ ნიმუშათ.

აი რა ჰქნეს იმათ: მამულზედ მდგომნი გლეხნი კაცნი სატყეოში აძლევდნენ შეშას, გადაკვეთილი ჰქონდათ, თუ რამდენი უნდა მიეტანათ წელიწადში შეშა; შემდგომ სატყეო გაუხადეს, თითო კომლს წელიწადში ოთხი მანეთი, ბოლოს თორმეტი მანეთი. როდესაც ეს უკანასკნელი ფასი დაუწესეს, გლეხებმა პირი ქნეს და შეკრეს პირობა, არც ერთს არ მიეცა ეს გარდასახადი; მაშინ ერისთვიანთ მკაცრ ზამთარში ჩაუყენეს ჩაფრები, დაუარეს მცხოვრებლებს და ანთებულის ბუხრებიდგან სულ მუგუზლები უყარეს გარეთ.

ახლა რას ფიქრობთ, ბატონო რედაქტორო, ერისთვიანთ ვამტყუნებთ? სრულებითაც არა! ბატონ-ყმობა რომ მოიშალა და მოჯამაგირებზედ საქმე რომ მიდგა, თითო კაცი, კარგი მუშა წელიწადში სამ-ოთხ თუმნათ გვეჭირა; ბოლოს ის სამ და ოთხ თუმნიანი გიხდა რვა თუმნად, ახლა ვერც თორმეტ თუმნათ დაიჭერთ ზიყასეჲ კაცს. აბა ახლა ეს გვიბრძანეთ, მამულის პატრონმა საიდგან მოიტანოს ეს ფასი? იტყვით, თვითონ იშრომოს და იქიდგანაო. ერთი ახლა ის მითხარით, საიდან მოეთხაროთ ეს ფასი, როდესაც რომ საუკეთესო სახნავსათესი იმ გლეხ-კაცებს უჭირავთ?

აბა ახლა მივხედოთ ბორჯომის ხეობაში, სატყეოს რამდენს იღებენ. მარტო ჩვენა ვართ მაგალითნი? ქალაქს ახლოს სომხეთისკენ, საბარათაშვილო, საყაფლანიშვილო, სასაგინაშვილო ტყეში ურემზედ ოთხ აბაზს

გაგრძელებს ერთ თვეშიაც ვერ გავათავებდი (მჯერა) ყველა მსგავსებების ჩამოთვლას,—იმსიდე ანალოგია არსებობს სლავიანოფილებს და ჩვენ ვიწრო პატრიოტებს შუა... მგონია კი, რომ გონიერი მკითხველის დასაჯერებლათ და მისი თვალის ასახსნელათ ეს ოთხი მსგავსებაც საკმაო უნდა იყოს ჯერ-ჯერობით. თუ ვინმემ ამ აზრის და შედარების დარღვევა მოინდომა, თუ სადმე მოისმა მისი უსაფუძლობის შეწამება — მზათა ვარ უფრო დაწვრილებით დაუბრუნდე ამ საგანს და უფრო საფუძვლიანათ დავამტკიცო ის ხელ მეორეთ“.

ეს ნაწყვეტი რათაც უნდა ღირს. უკანასკნელი სიტყვები სრულს ნებას მაძლევენ ვთქვა, რომ უფ. ნიკოლაძეს გაგებაც არა აქვს ლიტერატურისა; მისთვის მწერლობა მარტო მუშტიკრივი ყოფილა მწერალთა შორის,—მკითხველს რას დასდევ? არა, გაგონილა, თქვენი ჭირიმე: ჯერ ისე, ტყუილ-უბრალოთ წამოვროშავო, და თუ არ დამიჯერებენ მერე დასამტკიცებელ საბუთს მოვიყვანო! აი, გამრყვნელი ლიტერატურა ამას ჰქვიან!

ტყუილად გაშინებს შენ, მკითხველო, უფ. ნიკოლაძე; ვერც არა საბუთს მოიყვანს, ვერც არა დამტკიცებას.

უფ. ნიკოლაძე გამწარებით ამბობს:

„ისეთი პირებიც გაცრუ-პატრიოტდნენ ვინც უწინ პატრიოტობას სისულელეთ თვლიდა, აშკარათ კოსმოპოლიტობდა, ვინც მე, მაგალითათ, სულელათ იმიტომ მთვლიდა, რომ პატრიოტია, მაშ რასაკვირველია სულელი იქნებაო! დასეთ, ბედის ჩარხის ტრიალს! ეგემ პირები დღეს იმოდნათ გაცრუპატრიოტდნენ, რომ ათიათასჯერ გადამაჭარბეს პატრიოტობაში!... ადვილათაც შესაძლებელი იყო ჩემი გადაჭარბება: ქრივი ჩემი ქვეყნის ბედნიერებათ არასოდეს არ მიმაჩნდა, უმეცრებას ჩემ დღეში არ ჩავთვლიდი ჩემი ხალხის იდეალათ, იმას არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვიტყოდი—ნეტავი იმ დროს მოვესწრო, როცა ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიელოსთქო“.

მაშასადამე „ივერიის“ მწერლები ყველა ამას ქადაგობენ. ტყუილია. უფ. ნიკოლაძე ბმბობს—ამას გაკვრით ვამბობო. რაც უნდა იყოს, მაინც დამტკიცება გაკვრით თქმულსაც უნდა. შემდეგ უფ. ნიკოლაძე ცდილობს აუხსნას მკითხველს თუ „რაში მდგომარეობს მამულის მსახურება, რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, რა ნაირათ უნდა ემსახუროს“? ამისათვის იწყებს ჩვენის წარსულის გამოკვლევას—თუ რამ დასცა ჩვენი მამული. (აკი ჩვენი წარსული არ ვიცითო? მეც აკი გითხარით უფ. ნიკოლაძემ ის იცის რაც არავინ არ იცის მეთქი). შემდეგ უფ. ნიკოლაძე ხელ-ახლად ღეჭავს ათას ჯერ დაღეჭილ ჭეშმარიტებას: ცოდნა არა გვქონდა და დავეცითო, ამიტომ ცოდნა უნდა შევიძინოთო; თუ სხვას ვისმე გვინდა ვაჯობოთ, უნდა ეს სხვა გავიცნოთო; ჩინეთის კედლით არ უნდა შემოვსაზღროთ ჩვენი ქვეყანაო; სხვისი ენის შესწავლა და სხვისი ცხოვრების გაცნობა პატრიოტულ გრძნობას არ ალშობსო, და სხვა, და სხვა. „კაცი იყოსო, ამბობს კიდევ უფ. ნიკოლაძე, თურემ სადაც უნდა ისწავლოს, როგორც უნდა ისწავლოს, კაცი მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება“. (უფ. ნიკოლაძეს სრულიად ვერ გაუგია ზემო ნაჩვენი წერილი „ივერიისა“) ან კიდევ: „მაცხოვარმა ბრძანა,—როცა ჰკითხეს, რომელ ტაძარში ლოცვა უფრო ადვილად მიაღწევს ღმერთამდიო,—რომ ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს, და სადაც უნდა ითქვას, ყოველ ადგილიდამ ავა ზეცასაო“. უფ. ნიკოლაძის აზრით, ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ ეკონომიური უსწორ-მასწორობა შეამციროს, ეცადოს, რომ უსამართლო უთანასწორობა მოსპოს, და სხვ. საკვირველი ახალი აზრები ჰქონია უფ. ნიკოლაძეს! ამ აზრებისათვისაც კიდევ ამოეყუდა რუსის გამოჩენილ მწერალს და ამბობს: „მიეცით ხალხს საკვები, და სწავლას ის თითონაც შეიძენსო“, გონიერათ თქვა იმ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუ პატრიოტები ოდესმე დიდ პატივს სცემდენ“. ბოლოს უფ. ნიკოლაძე ამბობს, ჩვენ, თავის იმედი ვიქონიოთო (რასაც „ივერია“ ამბობდა).

კარგი და პატიოსანი. ახლა მიბძანეთ ყველა ამ აზრების გამოსათქმელად რა საჭირო იყო „დამჯდარი და სამეცნიერო გამოკვლევა“, „ოთხი სტადია“ და სხვ.? რისთვის გაიჭირა უფ. ნიკოლაძემ საქმე და გამოაშკარა თავისი უცოდინარობა? კიდეც იმისთვის, რომ ვერაფრით ვერ დაამტკიცა „ცრუ-პატრიოტების“ დანაშაულობა, და იფიქრა: ჩემს ლათაიობას ამით მაინც მივცემ სარწმუნო შეხედულობასაო.

იხდიან სატყუოს! ჩვენ დავაწესეთ ურემზედ ექვსი შაური და ეს ექვსი შაური ისე ეჩოთირათ, რომ ერთი ყაყანი შეიქნა, როგორც გლეხებისაგან, ისე გაზეთებისაგან.

რომ იწერებით გაზეთში, პატრონი არა ჰყავთ გლეხ-კაცებსა, ასე რომ ჰყვლეფამენო,—პატრონებიცა ჰყავთ და მოსამართლეც. მმართებლობამ ადგილობრივ ამ საგანზედ გამოგზავნა გამომძიებელნი, კარგათ გამოიკვლიეს და აი რა აღმოჩნდა: ის გლეხი, რომელსაც უჭირავს საამილახვროში ას ოცი დღის მიწა სახნავ-სათესი, აძლევს ამილახვრებს წელიწადში ექვსს, ანუ ექვსსა და ათ შაურს. ამაზედ მაღლა არც ერთი არ იძლევა და არის კაცი, რომელიცა წელიწადში სატყეოს თუ სახნავ-სათესისათვის იხდის ერთ მანეთს,—ეს უნდა იცოდეთ, ათ დღეზედ ნაკლები კი არავის უჭირავს. საყაფლანიშვილოში, საბარათაშვილოში თუ სულ ახლო ტფილისიდგან სოფლებში, დღიურში იძლევიან ოთხ—ხუთს მანეთს.

აბა, ახლა რას იტყვით, ამილახვრები ვაშავებთ რასმეს?—ჩვენ, ამილახვრებში, ისეთი სახლობა არის, რომ იქნება ლუკმა-პურსაც მოკლებული იყოს, წვრილი შვილებით დატვირთული; და შემოსავალი ისეთი, რომელიცა არც სულს და არც კუჭს! ახლა იმათზედ ხომ ვერას ვიტყვით, რომელნიცა სამსახურში არიან, თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ და რიგიანათაც გამოდიან ქვეყანაში.

თუ ბძანებთ ჩაფრები რათ დაგვიჭერია, მაშ მამულს როგორ გავუფთხილდეთ, როგორ შევიტყოთ ვის რა გააქვს. პურს არ უგდებთ მამულს, და იცინებენ, ქართველები მამულს ყურს არ უგდებენო; ყურს უგდებთ, უცლით, ამბობენ: იკლებენ გლეხ-კაცობასაო! ასე გაკიცხვით ხომ არ იქნება. აბა ერთი ადგილობრივ მობძანდნენ და შეიტყონ, რასაც იწერებიან, თუ, მისი ან მიასედია.

სწორე მოგახსენოთ, არ გავეპასუხებოდი მე ამაზედ და არა თუ მე, არც ერთი ამილახვართაგანი, მაგრამ მეტი ჰო! ჰო! ძნელია; ქია რომ ქია არის, ისიც ლომი შეიქნება, როდესაც ნახავს იმიზედ უსამართლოებით სჯა და განკიცხვა არის. მაშ ეს ანდაზაც დიდი ჭეშმარიტება ყოფილა: „ქიასაც რომ ფეხი დაადგა, ისიც კი ხმას ამოიღებსო.“

ერთი ამილახვართაგანი

თებერვლის 18, ს. ჯვალა.

---

# განცხადებანი

—

პარასკევს, 22 თებერვალს

გოდფრუას ცირკში

კეთილი მიზნით დანიშნულია დიდი წამოდგენა სხვა და სხვა ახალის ნომრებით.

(2—0)

---

**მისს უმაღლესობის** სასახლის კანტორა გამოიწვევს მსურველთა იკისრონ იჯარით **აშენება** პატარა **სახლისა ყარაიაზში**.

ამ შენობის პლანის ნახვა შეიძლება სასახლის კანტორაში ამ წლის 1 მარტამდინ.

(3—2)

---

**კავკასიის ინჟინერის უპრავლენიეში** ამ წლის 28 თებერვლისათვის დანიშნულია ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ შემდეგი შენობების აგებისა ქალაქს ბათუმში:

1) უნდა აშენდეს სახლი ციხის არტილერიის გამგეობისათვის და აგრეთვე ამ გამგეობის უფროსისათვის, რომლისთვისაც ხაზინისაგან დანიშნულია—26,688 მან. და 16 კაპ.

2) უნდა აშენდეს სახლი საინჟინერო დისტანციის გამგეობისათვის, თვის, რომელშიაც უნდა იქნეს სადგომი გამგეობისა უფროსისათვის და აგრეთვე დროებით ჩამოსულ უფროსებისთვის, დანიშნულია — 26,917 მან. 72 კაპ.

ორივე შენობებისათვის—53,605 მან. და 88 კაპ.

დაწვრილებით პირობების (კანდიციის) ნახვა შეიძლება, უქმ დღეებს გარდა, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2-მდინ.

(3—1)

---

**სავაჭრო სახლი**

**„კნიაზ იოანე კოსტანტინიჩ ბაგრატიონ მუხრანსკი და კ-ო“**

ამით აცხადებს, რომელ შემოტანილს ფულზედ ამა რიცხვიდამ ვიდრე შეცვლამდის

**აძლევს სარგებელსა**

პირველსავე მოთხოვით—3%.

ვადით

ექვსი თვით— — — —6%

ერთის წლით — — —7%

ორის წლით დ მეტის —7½%.

გარდა ამისა მეორე რაზრიადის საამხანაგო კვიტანციებზედ

ერთის წლით— —8% და მეტსაც.

---

საუკუნო

# კალენდარი

(50 კაპ.) **სიზმრის ახსნა** (20 კაპ.) და **ასოს სამღერალი** (15 კაპ.).— მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პარტიობითა და თითოობითა მელიძოვის სტამბის ფაქტორის ლუკონინისაგან.

(6—3)

---

18 თებერვლიდამ **ტოლლეს მაღაზიაში** დაიწყობა აჩქარებით **გასყიდვა** ყოველგვარ მოდურ საქონლისა ძალიან ზომიერ ფასად.

---

## ანგარიში

### რუსის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის

ყრილობისგან დამტკიცებული 1880 წლისა თებერვლის 2-სა დღესა

1 იანვარს 1879 წელსა იყო:

| | მან.—კაპ. |
|---|---|
| წილადი ფული — — | 1,766—85 |
| სასარგებლ. შემოტ. — | 945— „ |
| ნასესხი: ა) პირველ-დაწყ. | „ — „ |
| ნასესხი: ბ) შემდგომ ალებ. | 1200— „ |
| სათადარიგო თანხა — | 14—93¼ |
| წმინდა მოგება — — | 107—58¾ |
| ჯამი — | 4034—37 |

| | მან.—კაპ. |
|---|---|
| გასესხებული— — — | 3997—44 |
| ზიანი — — — — | „ — „ |
| **დანაშთენი:** | |
| ნაღ ფულად— — — | 36—93 |
| სარგებ. ქაღალდებათ | „ — „ |
| საკრედიტო განწესებულებათა შინა პირველ მოთხოვნამდე — — | „ — „ |
| საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი — — | „ — „ |
| ქონების სიაში (ინვენტარში) — — — — | „ — „ |
| ჯამი — — | 4034—37 |

1879 წელს.

| შემოსავალი: | მან.—კაპ. |
|---|---|
| წილადი ფული — — | 1466—79 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი ვადის მიცემის დროს — | 786—64½ |
| ჯარიმა — — — — | 32—52 |
| დაბრუნებული სესხები | 9015—94 |
| სასარგებლოდ შემოტ. | 1082—2 |
| ნასესხი ა) პირველ-დაწყ. | „ — „ |
| ნასესხი ბ) შემდგომ ალებ. | 5960— „ |
| სათადარიგო თანხა— | 10—82½ |
| სარგებლიანი ქაღალდები | „ — „ |
| სარგებელი სარგებლიანის ქაღალდებისა — | „ — „ |
| სხვა-და-სხვა შემოსავ. | 4—30 |
| ალებ-მიცემობის შემოს. | „ — „ |
| ჯამი — | 18359— 4 |

| გასავალი. | მან.—კაპ. |
|---|---|
| წილადი ფული — — | 1— „ |
| მოგება 1878 წლის წილადებზე მიღებული— | 51 15½ |
| გასესხებული— — — | 12000— „ |
| სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გადახდილის სესხისა — | 37—90½ |
| სასარგებ. შემოტანილი | 962— „ |
| სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისათვის— — — — — | 40—40 |
| ნასესხი ა) პირველ-დაწ. | „ — „ |
| ნასესხი ბ) შემდ. ალებ. | 4560— „ |
| სარგებელი ნასესხზე მიცემული— — — — | 125—96 |
| სათადარიგო თანხა — | „ — „ |
| სარგებ. ქაღალდები — | „ — „ |
| სარგებელი სარგებლიანის ქაღალდებისა — | „ — „ |
| სამართველოს ხარჯი— | 315— 7 |
| ალებ-მიცემობის გასავ. | 10—78¾ |
| ჯამი — | 18104—27¾ |

1 იანვარს 1880 წელს არის:

| | მან.—კაპ. |
|---|---|
| წილადი ფული 289 წევრისა— — — — — | 3232—64 |
| სასარგებლოდ შემოტ. | 1065— 2 |
| ნასესხი ა) პირველ დაწ. | „ — „ |
| ნასესხი ბ) შემდ. ალებ. | 2600— „ |
| სათადარიგო თანხა . . | 25—75¾ |
| წმინდა მოგება . . . | 349—77½ |
| ჯამი — — | 7273—19¼ |

| | მან.—კაპ. |
|---|---|
| გასესხებული— — — | 6981—50 |
| ზიანი — — — — | „ — „ |
| **დანაშთენი** | |
| ნაღდ ფულათ — — | 291—69¼ |
| სარგებლიან ქაღალდ. | „ — „ |
| საკრედიტო განწესებულებათა შინა პირველ მოთხოვნამდე — — | „ — „ |
| საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი — — | „ — „ |
| ქონების სიაში (ინვენტორში)— — — — | „ — „ |
| ჯამი — | 7273—19¼ |

თავმჯდომარე თ. ნ. დიასამიძე.

წევრნი რჩევისა: აზ. გ. მამაცოვი, აზ. ი. კლიმიევი, გ. კავლელაშვილი, დ. მამესწერაშვილი, გ. ბექანაშვილი

წევრნი მმართველნი: აზ. მ. კლიმიევი, ს. მღებრიშვილი, ქ. ბუზიაშვილი

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს.მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.